ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

სს „თიბის ბანკის“ სესხზე მიბმული ავტომობილის დაზღვევის პირობები 126079/UNI/23

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, ავტომობილის დაზღვევის პირობები და სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. წინამდებარე დოკუმენტი დაზღვევის პოლისთან ერთად წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების თავსართს.

სს „თიბისი ბანკის“ სესხზე მიბმული ავტომობილის დაზღვევის 126079/UNI/23 სრული პირობების ნახვა შესაძლებელია ჩვენს ვებ გვერდზე www.unison@.ge

ვინ არის მზღვეველი?

მზღვეველი ორგანიზაცია: სს სადაზღვეო კომპანია უნისონი
მზღვეველის მისამართი: ქ. თბილისი, გამრეკელის ქუჩა, N19, სართული N1
მზღვეველის ცხელი ხაზი/ტელეფონი: (+995 32)2 991 991

დამზღვევი

იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ავტომობილს აზღვევს მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას, ანუ თქვენ.

რისგან ხართ დაზღვეული ?

წინამდებარე დაზღვევა ფარავს პოლისში მითითებული ავტომობილის დაზიანებით გამოწვეულ ზარალს, რომელიც გამოწვეულია შემდეგი რისკებით:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია);
- ხანძარი, აფეთქება;
- სტიქიური მოვლენები (მიწისძვრისა და სეტყვის გარდა, თუ პოლისში სხვაგვარად არ არის მითითებული);
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ვანდალიზმი;
- საგნის დაცემა

როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?

სადაზღვევო პოლისი ძალაში შედის პოლისის გამოწერის/გაცემის მომენტიდან და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო თარიღის (დღის) 24:00 საათამდე;

მეორად ავტომობილზე სურათების გადასაღებად პოლისის შემენისთანავე უნდა მიმართოთ თიბისი ბანკის ან დაუკავშირდეთ სადაზღვევო კომპანიას ცხელ ხაზზე.

როგორ უნდა მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას?

- არ გადაადგილოთ ავტომობილი შემთხვევის ადგილიდან (თუ არ იქნება მითითება სამართალდამცავი ორგანოების ან სადაზღვევო კომპანიის მხრიდან);
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით სს სადაზღვეო კომპანია უნისონს **ცხელ ხაზზე** (+995 32)2 991 991და აცნობეთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით საპატრულო პოლიციას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მხოლოდ წინა საქარე მინა ან სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით).

რა არის დაზღვეული?

ავტომობილის დაზღვევა შედგება სამი სექციისაგან:

A. **ავტომობილის ძარის დაზღვევისას** - ანაზღაურდება ავტომობილის როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თქვენ მიერ შერჩეული და პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობის გამოკლებით;

B. **მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას** - ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის მართვისას, მესამე პირის სიცოცხლის/ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი;

C. **მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევისას** - ანაზღაურდება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეულ ავტომობილში მყოფი მძღოლისა და მგზავრების ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი.

რომელ ქვეყნებში ვრცელდება დაზღვევა?

A სექციისთვის - დაზღვევა ვრცელდება საქართველოს (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის ტერიტორიაზე, თუ თქვენი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
გაითვალისწინეთ, რომ ზემოთ მითითებული ქვეყნების ტერიტორიის გარეთ მომხდარი შემთხვევებიდან, ამ სექციისთვის ანაზღაურდება მხოლოდ ავტოსაგზაო შემთხვევით, სტიქიური მოვლენებით და საგნის დაცემით გამოწვეული ზარალი;
B და C სექციებისთვის - დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა).

თქვენი ხარჯისა და ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ:

დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია, თქვენს მიერ შერჩეული და მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, რაც ასახული იქნება პოლისში.
თქვენი ფინანსური თანამონაწილეობა, ასევე შესაძლოა განისაზღვროს ფრანშიზის ოდენობით, რომლის არსებობა და ოდენობა შერჩეული იქნება თქვენ მიერ და დაფიქსირდება პოლისში. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე გასაცემ ანაზღაურებას დააკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის ოდენობა.

რა არ ანაზღაურდება?

დაზღვევა არ მოქმედებს და დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება, თუ:

- **ზარალი გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული დაზიანებით;**
- **ხარჯები გაწეულ იქნა მზღვეველთან შეუთანხმებლად;**
- **ავტომობილს მართავდა 18 წლამდე ან/და მართვის უფლების არმქონე პირი;**
- **სადაზღვევო შემთხვევა მოხდა უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული, ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს. წინამდებარე გამონაკლისი მოქმედებს ისეთი სადაზღვევო შემთხვევის შეფასების დროსაც, როდესაც ზარალი გამოწვეულია მესამე პირის ბრალეული ქმედებით რაც დასტურდება საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული საბუთით;**
- **ავტომობილი გამოიყენებოდა ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანის /ტვირთის გადაზიდვის მიზნით ან ავტოტრანსპორტი გაქირავებული იყო, თუ ამგვარი გამოყენება წინასწარ არ იქნა შეთანხმებული მზღვეველთან;**
- **სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია ავტომობილის ან/და მისი ცალკეული ნაწილების /დეტალების გაუმართაობამ ან დაზღვეული ავტომობილი იმყოფებოდა მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში ;**
- **თუ სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოჰყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის, ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას (არ იგულისხმება მზღვეველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ავტომობილის გადაადგილების დროს დამდგარი ზარალი);**
- **ზარალი გამოწვეულია სამართალდარღვევის გამო უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომობილის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის ან განთავსების დროს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველისათვის წარმოდგნილი იქნება უფლებამოსილი პირების ბრალეულობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;**
- **ავტომობილის მძღოლი გადაადგილდება საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მძღოლის მსგავსი მოქმედება განპირობებულია მესამე მხარის სიცოხლისა და ქონების გადარჩენის აუცილებლობით;**
- **ზარალი გამოწვეული იყო თვითმკვლელობის, თვითდასახიჩრების ჩადენისას ან/და ასეთის მცდელობისას;**
- **დაზღვეული ავტომობილი მონაწილეობდა ნებისმიერი სახის რბოლაში ან სისწრაფის გამოცდაში (მათ შორის Off Road);**
- **დამზღვევი /მოსარგებლე /უფლებამოსილი მძღოლი განზრახ გამოიწვევს ან შეეცდება, გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა ან რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, გააყალბოს რაიმე დოკუმენტაცია;**

- დამზღვევი ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით;
- ზარალი წარმოიშვა დაზღვეული ავტომობილის აეროპორტში, აეროდრომზე ან აეროდრომის მინდვრის იმ მონაკვეთზე ყოფნისას, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ - დასაფრენად და გადასაადგილებლად, მათ სადგომად, მომსახურებისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის;
- ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური /ბირთვული ნივთიერებით; რადიაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების (მათ შორის საწვავის) ტრანსპორტირებით; გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომით; შემოჭრით, საომარი მოქმედებით; სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით; აჯანყებით, გაფიცვით ან სამოქალაქო მღელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
- როდესაც დამზღვევი ან მოსარგებლე დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით - სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- თუ მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტოტრანსპორტს ადგილიდან დაძრავენ (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ გაცემული მითითებების არსებობის შემთხვევისა);
- თუ არსებობდა ორმაგი დაზღვევა, მაგრამ დამზღვევს ამის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია წერილობითი ფორმით არ წარუდგენია;
- დადგა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის სხვა საფუძვლები;
- ზიანი ან დაზიანება რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამომდინარეობს კიბერ რისკების ან კიბერ თავდასხმების შედეგად;
- მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

ავტომობილის ძარის დაზღვევისას, ზემოთ ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად, არ ანაზღაურდება შემდეგი შემთხვევები:

- ზარალს, რომელიც შედეგად მოჰყვა ავტომობილის გასაღების და/ან ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის ავტომობილში დატოვებას, შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღია დატოვებას, გასაღების ნებისმიერი არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას;
- ზარალს, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით, ამორტიზაციით, გაუფასურებით, ცვეთით, ჟანგვით, კოროზიით და დაზღვეული რისკების გარდა სხვა მიზეზით გამოწვეული ელეტროსისტემების და ნაწილების მწყობრიდან გამოსვლით;

დაზღვეულ ავტომობილში /ავტომობილზე დამონტაჟებული არაქარხნული დეტალების /მოწყობილობების /აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) /სარკეების დაზიანებას ან განადგურებას, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დაზღვეული ავტომობილის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის დაკარგვას ან დაზიანებას გამოწვეულს ნებისმიერი მიზეზით;

- ისეთ ხარჯებს, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
- ისეთ სარემონტო ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
- ავტომობილის შეკეთების შედეგად მისი საბაზრო ღირებულების შემცირებით გამოწვეულ ზარალს;
- ავტომობილის დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებას, თუ დამზღვევი ან უფლებამოსილი მძღოლი აღნიშნულის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს ან თუ ავტომობილი სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან გადააადგილეს მზღვეველის ნებართვის გარეშე;
- საბურავის დაზიანებას, თუ მასთან ერთად არ მომხდარა ავტომობილის სხვა ნაწილების დაზიანება;
- ზარალს, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით;
- საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის ჯარიმას და ასევე საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებს;

- **დაზიანებული გზის საფარით გამოწვეულ ავტომობილის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავებისა და დისკების დაზიანებას. აღნიშნული გამონაკლისის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას ყოველი კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის შეფასების შემდეგ მიიღებს მზღვეველი;**
- **თუ ავტომობილი წარმოადგენს ტაქსის ან გაქირავებულია მესამე პირზე.**
- **საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს;**

მესამე პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას, ზემოთ ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად, არ ანაზღაურდება შემდეგი შემთხვევები:

- **როდესაც დაზარალებული წარმოადგენს: პირს, რომელიც საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტომობილს; ან დამზღვევი პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;**
- **ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანს, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტომობილით ან დაზღვეულ ავტომობილზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;**
- **მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას /გარდაცვალებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;**
- **ნებისმიერი ხასიათის მორალურ ზიანს;**
- **წმინდა ფინანსურ ზარალს, როდესაც არ იკვეთება მესამე პირის ქონების და ჯანმრთელობის დაზიანება /განადგურება;**
- **ნებისმიერი სახის სტიქიური მოვლენით გამოწვეულ სადაზღვევო შემთხვევას;**
- **საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს.**

მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან, ზემოთ ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად, არ ანაზღაურდება:

- **თუ მძღოლი ან/და მგზავრები გარდაიცვალნენ ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;**
- **საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილ შემთხვევებს.**

ამომწურავი/დეტალური ჩამონათვალი იმ შემთხვევებისა, რომელიც არ ანაზღაურდება, იხილეთ დაზღვევის პირობების I ნაწილის A7, B4, C3 პუქნტებში და II ნაწილის პირველ პუნქტში (საერთო გამონაკლისები).

ანაზღაურების ძირითადი პირობები

სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნა მზღვეველს წარედგინება წერილობითი ფორმით.
დაზღვევის პერიოდში, ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომისას სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტომობილის საბაზრო ღირებულებაზე, გამოიყენება ხელშეკრულებით განსაზღრული ანაზღაურების პროპორციული მეთოდი.
სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ზარალის შესაბამისად, ფრანშიზის და სადაზღვევო თანხის გათვალისწინებით.
მზღვეველის მიერ ზარალის დარეგულირება და ზარალის ანაზღაურებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის ზარალის რეგულირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირება მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმებით/დისტანციურად, სატელეფონო ან ელექტრონული არხების გამოყენებით;
დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურება გადაერიცხება დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის შეკეთებულ ავტოსერვიცენტრს ან დაზღვეული ავტოტრასპორტის მესაკუთრეს (ან მის კანონიერ წარმომადგენელს), ჩვენი გადაწყვეტილების შესაბამისად;
დაზღვეული ავტოტრასპორტის სრული დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურება დაგაერიცხება დაზღვეული ავტოტრასპორტის კანონიერ მესაკუთრეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. თუ ჩვენ გადავწყვიტეთ დავიტოვოთ სრულად დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობა იქნება დაზღვეული ავტოტრასპორტის საკუთრების უფლების ჩვენთვის გადმოცემა.

რამდენ დღეში ანაზღაურდება ზიანი?

ზიანის ანაზღაურება მოხდება ჩვენს შორის ზიანის ოდენობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების შეწყვეტა და სხვა ფინანსური ხარჯი

დაზღვევა შეიძლება შეწყდეს, როგორც მხარეთა შეთანხმებით, ასევე დამზღვევის, ისე სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს, ამასთან

ა) დამზღვევის ინიციატივით პოლისის შეწყვეტისას

- დამზღვევი ვალდებულია 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიმართოთ სადაზღვევო კომპანიას გაუქმების მოთხოვნით;
- თუ შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს გაუქმების თარიღისათვის გამომუშავებული პრემია და გამოუმუშავებელი პრემიის 10%.

შეწყვეტის მომენტისათვის, დამზღვევის მიერ სხვა ავტომობილის დაზღვევის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ გაუქმების თარიღისათვის გამომუშავებული პრემია.

- თუ შეწყვეტამდე ადგილი ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს პრემია, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ანაზღაურებული თანხა ნაკლებია პოლისით გათვალისწინებული ჯამური სადაზღვევო პრემიის ოდენობაზე, დამზღვევის მიერ მიღებული (ზარალის ანაზღაურების) თანხის უკან დაბრუნების შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ გამომუშავებული პრემია და გამოუმუშავებლი პრემიის 10%.

ბ) მზღვეველის ინიციატივით პოლისის შეწყვეტისას

- მზღვეველი ვალდებულია 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში შეატყობინოს დამზღვევს შეტყობინების გაგზავნის გზით;

გ) წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაზღვევა შეწყდება

- თუ დამზღვევმა სრულად დაფარა სესხი;
- თუ გრაფიკით გათვალისწინებული დაზღვევის 3 (სამი) თანმიმდევრული ტრანში არ იქნა გადახდილი ან დავალიანება აღემატება 100 დღის გამომუშევებელ პრემიას.
- თუ დაზღვეული ავტომობილი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა;
- თუ ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული ანაზღაურების ლიმიტი;
- პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლით;
- თუ მზღვეველი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;
- დაზღვეული ავტომობილის გასხვისებისას, თუ მზღვეველს არ სურს ახალ მესაკუთრესთან დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელება და დამზღვევს ერთი თვით ადრე შეატყობინებს ამის შესახებ;
- დაზღვეული ავტომობილის სრული განადგურებისას. ასეთ შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება დაზღვევის პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი გადასახდელი პრემიის ოდენობა.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

მხარეთა შეთანხმებით ან მზღვეველის ან დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტისთვის სავალდებულოა მოსარგებლის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

ინფორმაცია ჩვენი საზედამხედველო ორგანოს შესახებ

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

დაზღვევის პირობებით ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 032 2 991 991 ან ან მოგვმართოთ ელექტრონული ფორმით ჩვენი ვებ გვერდისელ. ფოსტის საშუალებით: compliants@unison.ge; shenikhma@unison.ge

ასევე, შეგიძლიათ თქვენი საკითხი დააფიქსიროთ ჩვენს წარმომადგენელთან, მისამართზე: თბილისი, **გამრეკელის ქუჩა, N19, სართული N1;**

თქვენს შეტყობინებას განიხილავს ხარისხის მართვის განყოფილება, შეტყობინების დაფიქსირებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!